საქართველოს მთავრობის

დადგენილება №193

2024 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, III, №33, 31/03/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების 1^{10} მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ დადგენილების მიზნებისთვის უქმე დღეს არ წარმოადგენს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

ა) 1^1 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 – 1^4 გრაფები:

„1^2	სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა (მათ შორის, სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა)	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	უფასო 25000 ლარი 30000 ლარი
1^3	სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა (მათ შორის, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა)	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	უფასო 25000 ლარი 30000 ლარი
1^4	სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	უფასო 5000 ლარი 10000 ლარი“;

ბ) 24^1 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 24^2 გრაფა:

„24^2	სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობის წესში ცვლილებების შეტანაზე თანხმობის გაცემა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**